მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

სსიპ - ქალაქ თბილისის №58 საჯარო სკოლასა

და

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს

შორის

შეთანხმების მონაწილეები

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში "უნივერსიტეტი", მისამართი; ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №113), რექტორის, პროფესორ, მაკა ბერიძის სახით და სსიპ - ქალაქ თბილისის N58 საჯარო სკოლა (შემდგომში "სკოლა", მისამართი: თბილისი, ღამბაშიძის ქ. N3გ) დირექტორის იოსებ ლაზარაშვილის სახით (შემდგომში "მხარეები"), ისწრაფვიან რა, ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, მხედველობაში იღებენ საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, მხარეთა მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

ა) მემორანდუმის მიზანია უნივერსიტეტსა და სკოლას შორის მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეწყობა განათლების სფეროში;

ბ) უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (60 კრედიტიანი) /დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის/ მიმდინარე პროექტების ფარგლებში ერთობლივი საქმიანობის განხორციელება.

მუხლი 2. მხარეთა ვალდებულებები

1. მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად მხარეები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ:

ა) ამ მემორანდუმის პირველი მუხლის „ბ" პუნქტით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სტუდენტების/მსმენელების მიერ სასკოლო პრაქტიკის გავლა/შესაბამისი აქტივობების შესრულება სკოლაში ისე,

რომ სასწავლო პროცესში დაცული იყოს პროგრამით გათვალისწინებული საათების რაოდენობა (დისტანციური და/ან კონტაქტური ფორმით);

ბ) ისეთი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება, რომლებიც მიმართულია საჯარო სკოლის მოსწავლეებისა და პედაგოგების საგანამანათლებლო და პროფესიული განვითარებისაკენ;

გ) უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ, სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეებისათვის სამეცნიერო კონფერენციებისა და სასწავლო საგნობრივი ოლიმპიადების შესახებ ინფორმაციების მიწოდება და ჩართვაში ხელშეწყობა.

დ) აკადემიური პერსონალის მიერ უნივერსიტეტში არსებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სკოლის პედაგოგთა სასერთიფიკაციო გამოცდებისათვის მომზადება და გადამზადება;

ე) ერთობლივი საგანმანათლებლო - შემოქმედებითი ღონისძიებების მოწყობა;

ვ) სკოლის მოსწავლეებისათვის საჯარო ლექციების ჩატარება სხვადასხვა დარგობრივი დისციპლინების მიხედვით შესაბამისი აკადემიური პერსონალის მიერ;

ზ) საგანმანათლებლო საკითხებთან დაკავშირებულ აქტივობებში/სფეროებში თანამშრომლობა;

თ) უნივერსიტეტისა და საჯარო სკოლის კლუბების თანამშრომლობა; საჯარო სკოლის მოსწავლეთა მომზადება საუნივერსიტეტო ცხოვრებისათვის.

ი) მემორნდუმის მიზნების განხორციელების ხელშეწყობა.

2. ამ მემორანდუმის პირველი მუხლის „ბ" პუნქტით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად:

ა) სკოლა იღებს ვალდებულებას:

- უზრუნველყოს უნივერსიტეტის შესაბამისი პროგრამის სტუდენტები/მსმენელები პრაქტიკის/სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისათვის ყველა საჭირო პირობით (არაუმეტეს 5 სტუდენტი/მსმენელი);
- უნივერსიტეტის სტუდენტებსა და მსმენელებს გააცნოს სკოლის შინაგანაწესი;
- შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში არ დაუშვას სტუდენტი/მსმენელი პრაქტიკის ობიექტზე;

ბ) უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას:

- უზრუნველყოს სკოლის ინფორმირება სტუდენტთა/მსმენელთა გაგზავნასთან დაკავშირებით გაგზავნამდე 2 (ორი) კვირით ადრე;
- მიიყვანოს სტუდენტები/მსმენელები პრაქტიკის ობიექტზე (სკოლაში);
- სკოლის სიტყვიერი ან წერილობითი ინფორმაციის საფუძველზე, სტუდენტის/მსმენელის მიერ სკოლის შინაგანაწესის უხეში დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში სტუდენტი/მსმენელი გამოიწვიოს სკოლიდან.

მუხლი 3. დასკვნითი დებულებები

1. მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები და პირობები შეიძლება განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით.

2. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მოლაპარაკების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. სკოლა უფლებამოსილია მოსთხოვოს უნივერსიტეტს მემორანდუმის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

4. მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, რაც გაფორმებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით.

5. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

6. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ერთ-ერთი მხარის მიერ შეთანხმების შეწყვეტის წერილობითი ფორმის სურვილის გამოთქმამდე.

სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი მის: ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. 113	სსიპ - ქალაქ თბილისის N58 საჯარო სკოლა მის: თბილისი, შ. ღამბაშიძის ქ.N3ბ
მაკა ბერიძე რექტორი	იოსებ ლაზარაშვილი დირექტორი
თარიღი: 01 ნოემბერი 2024 წელი	თარიღი: 01 ნოემბერი 2024 წელი.